ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №70

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 13 მარტი 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე დავით ესებუას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 13 მარტის №121 ბრძანების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „შემსყიდველი" შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს თვითმმართველ ქალაქ ფოთში, საინვესტიციო ჯგუფის „ფორტუნა ჰოლდინგის" წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – თვითმმართველ ქალაქ ფოთში, საინვესტიციო ჯგუფის „ფორტუნა ჰოლდინგის" წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების მომსახურება (სტუმრების კვება).

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – 55300000 - რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 694 (ექვსასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 13 მარტს.

[illegible] ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შესყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთად, მიმწოდებელთან, სამი-შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

[illegible] ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას [illegible] რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
თვითმმართველი ქალაქი ფოთი (თვითმმართველი ერთეული)	ინდივიდუალური მეწარმე
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	
დავით ბაბილუა	დავით ესებუა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12 სს ,,ლიბერთი ბანკი'' ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, მ. კოსტავას ქ. №200 სს ,,პროკრედიტბანკი'' ფოთის ფილიალი
ა/ა GE 40LB0120125805505002 ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215138143	ა/ა GE 36 PC0103600100019996 ბ/კ MIBGGE22 ს/კ 42001008984

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

პაატა ჩაგანავა

საქართველო
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 121 13 03 2014 წელი, ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთში ისრაელის საინვესტიციო ჯგუფის ,,ფორტუნა ჰოლდინგის" წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

2014 წლის 13 მარტს დაგეგმილია ქალაქ ფოთში ისრაელის საინვესტიციო ჯგუფის, ფორტუნა ჰოლდინგის წარმომადგენლების ვიზიტი, ქალაქში იფრასტრუქტურული და სხვა პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებული ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს თანხა ქალაქ ფოთში ისრაელის საინვესტიციო ჯგუფის, ფორტუნა ჰოლდინგის წარმომადგენლების კვებით უზრუნველსაყოფად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ფოთში ისრაელის საინვესტიციო ჯგუფის, ფორტუნა ჰოლდინგის წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს 694 (ექვსასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი კვების შესყიდვის მიზნით.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს ანგარიშსწორება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა

საფუძველი: ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ " საქართველოს ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის, 2014 წლის 13 მარტის N1-05/762 მომართვა.

შესმრ: იურიდიული განყოფილება